საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/24

ქ. ბათუმი 16 აგვისტო, 2019 წელი

„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №04 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის განხილვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 26 ივლისის №68 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/87 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის განხილვის შესახებ“ ბსუ-ს **წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №04 გადაწყვეტილებაში** შევიდეს ცვლილება, კერძოდ, გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის თანდართული **სამეცნიერო აქტივობების კლასიფიკატორის** (დანართი 1) მე-2 პუნქტის 2.2. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.2. სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science ან Scopus ან Scimago Journal & Country Rank ან ERIH PLUS-ის (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებისათვის) ან Research Gate-ის მიერ;“

2. წინამდებარე გადაწყვეტილებით შეტანილი ცვლილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 2 აგვისტოდან.
3. წინამდებარე ცვლილებების გათვალისწინებით **„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის** კონსოლიდირებული ვერსიის მომზადება დაევალოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს.

4. წინამდებარე გადაწყვეტილების და კონსოლიდირებული წესის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**